



## ყოველწლიური შეჯიბრი კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევებში

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს გუნდების რეგისტრაციას კლიენტთა კონსულტირების ყოველწლიური შეჯიბრის ეროვნულ რაუნდებში მონაწილეობის მისაღებად.

შეჯიბრის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას ახორციელებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

შეჯიბრის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს USAID/PROLoG-ის პროგრამა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMII).

### ზოგადი ინფორმაცია შეჯიბრის შესახებ

შეჯიბრის მიზნებია: 1) სტუდენტებისთვის კლიენტთა კონსულტირების მნიშვნელოვანი უნარების განვითარება, რომელიც ადვოკატის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია და 2) სტუდენტებისთვის შესაბამისი საბაზისო ცოდნის მიცემა და ამ უნარების დახვეწის შესაძლებლობა.

კლიენტთა კონსულტირების შეჯიბრი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

### ტრენინგი (სამუშაო ენა: ინგლისური/ქართული)

ტრენინგი ემსახურება სტუდენტებისა და მათი მწვრთნელების შეჯიბრისთვის მომზადების მიზანს. ტრენინგი ჩატარდება ლექციებისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების ფონზე. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებს საშუალება ექნებათ ჩაერთონ კლიენტთა კონსულტირების სიმულაციურ სესიებში და მოისმინონ ექსპერტების შეფასება.

ტრენინგი ჩატარდება **2018 წლის 15-16 თებერვალს** თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეები გადაინაცვლებენ შეჯიბრის ეტაპზე.



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)



### შეჯიბრი (სამუშაო ენა: ინგლისური)

შეჯიბრზე თითოეული გუნდი შეასრულებს ადვოკატის როლს სიმულირებულ იურიდიულ ფორმაში. გუნდებს აქვთ 45 წუთი, რათა შეხვდნენ ახალ კლიენტს, გამოარკვიონ კლიენტის პრობლემა, მისცენ რჩევა, გაუწიონ კონსულტაცია და ჩაებან კონსულტაციის შემდგომ დისკუსიაში. შესაბამის უნარ-ჩვევათა ეფექტურობა შეფასდება მოსამართლეების მიერ. გამარჯვებული გუნდი დასახელდება ეროვნულ ჩემპიონად. ეროვნულ დონეზე გამარჯვებულ გუნდს შესაძლებლობა ექნება გაემგზავროს კლიენტთა კონსულტირების საერთაშორისო შეჯიბრზე (შეჯიბრის ორგანიზატორი არ უზრუნველყოფს ეროვნულ რაუნდში გამარჯვებული გუნდის საერთაშორისო შეჯიბრზე გამგზავრებას. აღნიშნული გამარჯვებული გუნდის პასუხისმგებლობაა).

შეჯიბრი ჩატარდება **2018 წლის 17-18 თებერვალს** თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

### გუნდების რეგისტრაცია

თითოეული უნივერსიტეტიდან შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ ერთი გუნდი, რომელიც შედგება 2 ძირითადი და 1 სათადარიგო მონაწილისგან.

კანდიდატები უნდა იყვნენ სამართლის სკოლის ბაკალავრიატის (III-IV კურსი) ან მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას და რომელთაც არ აქვთ ჩაბარებული ადვოკატის, პროკურატურის, მოსამართლის, ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდები ან/და არ არიან შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლები. არც შეჯიბრზე და არც ტრენინგზე არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებსაც ანალოგიურ ტრენინგში გასულ წლებში ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა.

გუნდებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ [სარეგისტრაციო ფორმა](#) 2018 წლის 9 თებერვლის 18:00 საათამდე.

*შეჯიბრში მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდულია და შეადგენს რვას, რაც გულისხმობს, რომ რეგისტრაციის ვადა არის საორიენტაციო და შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ ის გუნდები, რომლებიც უფრო ადრე დარეგისტრირდებიან.*

ინფორმაცია საერთაშორისო რაუნდებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.brownmosten.com>.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით თამარ მაღრაძეს ნომერზე 5 93 30 48 41 ან ელ. ფოსტაზე: [t.maghradze@freeuni.edu.ge](mailto:t.maghradze@freeuni.edu.ge).



კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)